აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 2

20 მაისი 2016 წელი **ქ. ბათუმი**

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, თამარ ხოზრევანიძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე და თორნიკე მჟავანაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ;

2. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ;

2. სხვადასხვა.

1. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო „უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ გოლიაძემ, თორნიკე მჟავანაძემ, რამაზ გოლომანიძემ და არჩილ მიქელაძემ.

ზურაბ გოლიაძემ კომისიას შესთავაზა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტით წარმოდგენილი შრომის ანაზღაურების მუხლში ასახული პრემიის თანხის დანამატში გადატანა. ასევე აღნიშნა, რომ საქონელი და მომსახურების მუხლში ასახული მივლინების თანხა 2. 000 (ორიათასი) ლარი არ არის საკმარისი და მომავლისთვის (საჭიროების შემთხვევაში) შესაძლებელია მოვითხვოთ აღნიშნული თანხის გაზრდა.

თორნიკე მჟავანაძემ აღნიშნა, რომ ეთანხმება ზურაბ გოლიაძის მოსაზრებას პრემიის თანხის დანამატში გადატანას.

რამაზ გოლომანიძე დაინტერესდა არის თუ არა შესაძლებელი შტატგარეშე, ხელშეკრულებით აყვანილ თანამშრომლებზე თანამდებობრივი სარგოს გაზრდა.

არჩილი მიქელაძემ აღნიშნა, რომ თუ გვსურს მივლინების ან სხვა ხარჯების გაზრდა, დავასაბუთოთ მისი მიზნობრივობა, ჩამოვაყალიბოთ შესაბამისი წინადადებები, მოსაზრებები და დავავალოთ უმაღლეს საარჩევნო კომისიის ეკონომიკურ სამსახურს, რომ იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მივმართოთ შესაბამის ორგანოებს თანხის გაზრდის მოთხოვნის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ, სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების (შესწორებების) გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის საბიუჯეტო განაცხადი დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.
სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **თამარა ხოზრევანიძე**